არნახული კოსმოსური ესტაფეტა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ოქტომბერი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 240 (14540)

გრძელდება კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-6"-ის, „სოიუზ-7"-ის და „სოიუზ-8"-ის წარმატებითი ჯგუფური ფრენა დასახული ამოცანის მიხედვით.

პირველად კოსმოსური სივრცის ათვისების ისტორიაში დედამიწისირგვლივ ორბიტაზე ერთდროულად სამი პილოტირებული ხომალდის ფრენა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო ტრიუმფია.

საქდესის ცნობა

ჯგუფური ფრენა გრძელდება

13 ოქტომბერი. 16 საათისა და 30 წუთისათვის მოსკოვის დროით ხომალდებმა „სოიუზ-6"-მა, „სოიუზ-7"-მა და „სოიუზ-8"-მ შესაბამისად 34-ჯერ, 18-ჯერ და 2-ჯერ შემოუარეს დედამიწას..

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟმა ორბიტაზე გასვლის შემდეგ შეამოწმა საბორტო სისტემები, განახორციელა ხომალდის ორიენტაცია მზეზე და მისი დატრიალება. პოლკოვნიკი შატალოვი შეუდგა ჯგუფური ფრენის მეთაურის მოვალეობის შესრულებას.

ხომალდ „სოიუზ-8"-ის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 223 კილომეტრი;

— მინიმალური სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 205 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი;

— მიმოქცევის პერიოდი — 88,6 წუთი.

ფრენის პროგრამით, 32-ე გარშემოვლის დროს ხომალდ „სოიუზ-6"-ის მეთაურმა შონინმა საწყისი მონაცემები შეიტანა საბორტო სისტემებში მანევრის შესასრულებლად. ამის შემდეგ ჩართეს ძრავის დანადგარი და ხომალდი გავიდა ახალ ორბიტაზე.

ამ დროისათვის კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-7"-ში კოსმონავტებმა ფილიპჩენკომ, ვოლკოვმა და გორბატკომ შეასრულეს დიდი მოცულობის მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო კვლევა და დაკვირვებანი. გეოლოგიურ-გეოგრაფიული კვლევის პროგრამის შესაბამისად ისინი იღებდნენ დედამიწის ზედაპირის დამახასიათებელი უბნების ფოტოსურათებს, აღნიშნავდნენ თოვლის საფარის გავრცელების საზღვარს, ზომავდნენ დედამიწის ზედაპირის მზით განათებას, ვარსკვლავების სიკაშკაშეს, აკვირდებოდნენ დედამიწის ჰორიზონტსა და ღრუბლების სხვადასხვა წარმონაქმნებს დღისით და ბინდში და იღებდნენ მათს ფოტოსურათებს.

ხომალდ „სოიუზ-7"-ის მეთაურმა ფილიპჩენკომ ოპტიკურ საშუალებათა და სპეციალურ ხელსაწყოთა დახმარებით განახორციელა ხომალდის ხელით ორიენტაცია.

დღის განრიგების თანახმად ხომალდ „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟმა მეორე გარშემოვლის დროს ისაუზმა. ხომალდებში „სოიუზ-6"-სა და „სოიუზ-7"-ში კოსმონავტებმა ისადილეს. ხომალდ „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟს საუზმედ ჰქონდა ანტრეკოტი, ბოროდინული პური, შოკოლადი და შავი მოცხარის წვენი. შონინისა და კუბასოვის სადილი ხომალდ „სოიუზ-6"-ში იყო: მზეზე გამოყვანილი თევზი, პაშტეტი, ქათმის ხორცი, პური და შავქლიავი. ფილიპჩენკოს, ვოლკოვსა და გორბატკოს ხომალდ „სოიუზ-7"-ში სადილად ჰქონდათ ხორცის პიურე, ხბოს ხორცი, პური და ნამცხვარი.

შვიდივე კოსმონავტი თავს ჩინებულად გრძნობს.

სამი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ჯგუფური ფრენა გრძელდება.

13 ოქტომბერს საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-6"-ის, „სოიუზ-7"-ისა და „სოიუზ-8"-ის ფრენის პირველი დღის განმავლობაში მოწმდებოდა ერთდროულად სამი ხომალდის ფრენის მართვის მეთოდიკა და მუშავდებოდა ტექნიკა, წარმოებდა დედამიწაზე მოქმედ დაკვირვების სადგურებთან, კავშირგაბმულობის პუნქტებთან და კოსმოსურ ხომალდებთან ფრენის მართვის ცენტრის ურთიერთმოქმედების დამუშავება.

მთელი ინფორმაცია, რომელიც საკოორდინაციო-გამოთვლით ცენტრში მოდის ჯგუფური ფრენის შესახებ, განუწყვეტლივ მუშავდება. მიღებულია მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დიდად ეფექტიანია ფრენის მართვის არჩეული სქემა.

კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟებს კავშირი ჰქონდათ დამყარებული ერთმანეთთან და დედამიწასთან, მუშაობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური და მედიკურ-ბიოლოგიური კვლევის პროგრამით. კერძოდ, „სოიუზ-6"-ის ხომალდის ეკიპაჟი აწარმოებდა მედიკურ-ბიოლოგიურ კვლევას; „სოიუზ-7"-ის ხომალდის ეკიპაჟი აწარმოებდა ციური სხეულების, ხილული სპექტრის სხვადასხვა დიაპაზონში დედამიწის ჩრდილოვანი და განათებული მხარეების ჰორიზონტის დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას; „სოიუზ-8"-ის ხომალდის ეკიპაჟი სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით აწარმოებდა ატმოსფეროთი არეკლილი მზის შუქის პოლარიზაციის კვლევას.

ჯგუფის მეთაურის პოლკოვნიკ შატალოვისა და ხომალდების ეკიპაჟთა მეთაურების მოხსენებით კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ კოსმონავტები ისვენებდნენ.

წარმატებით გრძელდება „სოიუზის" სერიის სამი საბჭოთა პილოტირებული ხომალდის ჯგუფური ფრენა. 14 ოქტომბერს 8 საათისა და 30 წუთისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" ხომალდებმა დაამთავრეს შესაბამისად დედამიწის 45, 29 და 13 გარშემოვლა.

შვიდმა საბჭოთა კოსმონავტმა დაიწყო ახალი შრომითი დღე. დილის რადიოკავშირის პირველი სეანსის დროს ხომალდების ჯგუფის მეთაურმა ვ. ა. შატალოვმა გადმოსცა, რომ ღამის დასვენების შემდეგ ყველა კოსმონავტი თავს კარგად გრძნობს.

ხომალდების ეკიპაჟებმა შეასრულეს ფიზიკური ვარჯიში, ამასთან აწარმოეს სამედიცინო კონტროლი, შემდეგ ისაუზმეს. ხომალდების საბორტო სისტემების შემოწმების შემდეგ კოსმონავტები შეუდგნენ ფრენის მორიგი დღის პროგრამის შესრულებას.

ციური ძმები

მოსკოვი. წითელი მოედანი. აქ, ლენინთან, ახალი სტარტების წინ დიდი ხნის ტრადიციით მოვიდნენ კოსმონავტები. მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ა. შატალოვი, ა. ს. ელისეევი, ა. ვ. ფილიპჩენკო, ვ. ნ. ვოლკოვი, ვ. ვ. გორბატკო, ვ. ნ. კუბასოვი და გ. ს. შონინი.

ფოტო ვ. კუნიაევისა. (ჟურნალი „ავიაცია ი კოსმონავტიკა").

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკება

14 ოქტომბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. პ. კირილენკო** და სხვა ოფიციალური პირნი;

ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხ. **ფამ ვან დონგი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ამხ. **ლე თხან ნგი**, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ამხ. **ნგუენ თხო ტიანი** და სხვები.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, მთელი ვიეტნამელი ხალხის სახელით ვიეტნამელი მეგობრები მხურვალედ მიესალმნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს და უსურვეს წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში. დიდი მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს ვიეტნამელ ხალხს ამერიკის აგრესიის მოგერიებასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში. მათ გულითადად მიულოცეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებსა და მთელ საბჭოთა ხალხს ახალი თვალსაჩინო წარმატებანი კოსმოსის კვლევაში — საბჭოთა კოსმონავტების ჯგუფური ფრენა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს დიდი მწუხარება იმის გამო, რომ გარდაიცვალა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი, რაც მძიმე დანაკლისია ვიეტნამელი ხალხისა და მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის. მათ გულითადი მადლობა გადაუხადეს ვიეტნამელ მეგობრებს საბჭოთა ხალხისადმი მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის და განაცხადეს, დარწმუნებული ვართ, რომ ვიეტნამის მშრომელთა პარტია მტკიცედ შეასრულებს ხო ში მინის ანდერძს. მათ ახალი წარმატებანი უსურვეს ვიეტნამელ ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრობის, გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში, მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ძმური ურთიერთობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

მოლაპარაკება გაგრძელდება. (საქდესი).

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის წარმატება

ხუთსავე კონტინენტზე, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იცნობენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. ყველგან, სადაც კი გამოსულა ეს კოლექტივი, დარბაზი მქუხარე ტაშით აჯილდოებდა მსახიობებს, პრესა ბეჭდავდა აღტაცებულ რეცენზიებს. ამას წინათ ანსამბლი დაბრუნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში ტრიუმფალური საგასტროლო მოგზაურობიდან, ახლა კი ემზადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წასასვლელად, სადაც მონაწილეობას მიიღებს ქართული კულტურის დღეებში. შემდეგ ამ სახელგანთქმული ანსამბლის კოლექტივი ოთხი თვის საგასტროლო ტურნეში წავა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ქალაქებში, აგრეთვე სინგაპურში.

13 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი.

კონცერტზე, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, იყვნენ **ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჰანუყვაძე.**

კონცერტის შემდეგ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ჰანუყვაძე** შეხვდნენ ანსამბლის წევრებს. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მხატვრულმა ხელმძღვანელებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა **ნ. რამიშვილმა** და **ი. სუხიშვილმა** ილაპარაკეს ანსამბლის შემოქმედებითს გეგმებსა და ამოცანებზე.

ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ** აღნიშნა ანსამბლის მაღალი პროფესიულ-მხატვრული დონე და კოლექტივს უსურვა ახალი წარმატებანი ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში. (საქდესი).

სწავლობენ საბჭოთა კადრები

14 ოქტომბერს დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა. ერთი თვის მეცადინეობა გაიარეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხეს ლექციები და მოხსენებანი სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე.

სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესწავლას. მოეწყო აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობა. (საქდესი).

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-6"-ის, „სოიუზ-7"-ის, „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟები მიესალმებიან

საბჭოთა კავშირის ხალხებს

„სოიუზის" სერიის კოსმოსური ხომალდებიდან მხურვალედ მივესალმებით დიდ საბჭოთა ხალხს, კომუნისტური საზოგადოების მშენებელს, ვუსურვებთ ჩვენს ხალხს სახელოვან შრომითს გამარჯვებებს, ახალ მიღწევებს დიდი დღესასწაულის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

კოსმონავტები: **შონინი, კუბასოვი, ფილიპჩენკო, ვოლკოვი, გორბატკო, შატალოვი, ელისეევი.**

სოციალისტური ქვეყნების ხალხებს

„სოიუზის" სერიის კოსმოსური ხომალდებიდან მხურვალედ მივესალმებით სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა.

კოსმონავტები: **შონინი, კუბასოვი, ფილიპჩენკო, ვოლკოვი, გორბატკო, შატალოვი, ელისეევი.**

აფრიკის ხალხებს

„სოიუზის" სერიის კოსმოსური ხომალდებიდან განვითარებადი ქვეყნების ხალხებს ვუსურვებთ წარმატებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის შემდგომი დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

კოსმონავტები: **შონინი, კუბასოვი, ფილიპჩენკო, ვოლკოვი, გორბატკო, შატალოვი, ელისეევი.**

ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებს

ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებს ვუსურვებთ წარმატებებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

კოსმონავტები: **შონინი, კუბასოვი, ფილიპჩენკო, ვოლკოვი, გორბატკო, შატალოვი, ელისეევი.**

* * *

„სოიუზის" სერიის ხომალდთა შემქმნელ მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებსა და მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით და დიდ მადლობას გიძღვნით შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შექმნისათვის. გისურვებთ ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

კოსმონავტები: **შატალოვი, შონინი, კუბასოვი, ფილიპჩენკო, გორბატკო, ვოლკოვი, ელისეევი.**

ნ. ვ. პოდგორნი ფინეთში გაემგზავრა

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კეკონენის მიწვევით 14 ოქტომბერს მოსკოვიდან ჰელსინკში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.** იგი ფინეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე **ნ. ვ. პოდგორნი** გააცილეს **ა. პ. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ვ. ვ. გრიშინმა, პ. ნ. დემიჩევმა** და სხვებმა. (საქდესი).

ჰელსინკი, 14 ოქტომბერი. (საქდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** დღეს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ფინეთში. საპატიო სტუმარს ჰელსინკის აეროდრომზე შეხვდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **უ. კ. კეკონენი** და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

საპატიო წოდება

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისა და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მწერალს ალექსი ალექსანდრეს-ძე სურკოვს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადასცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო". (საქდესი).

ციური ძმების ახალი გმირობა

საქტასის ცნობა

ჯგუფური ფრენა გრძელდება

უკვე თითქმის ერთი დღე-ღამეა, რაც ერთობლივ ფრენაში არიან კოსმოსური ხომალდები „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8". სამი პილოტირებული ხომალდის ჯგუფური ფრენა ზუსტად პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს.

ხომალდების ეკიპაჟები წარმატებით ასრულებენ დასახულ კვლევას, ექსპერიმენტებსა და დაკვირვებებს. დაიწყო ერთობლივი ექსპერიმენტების ერთდროულად შესრულება დედამიწის ირგვლივი კოსმოსური სივრცის სხვადასხვა წერტილში. ამ ექსპერიმენტების შედეგები მოგვცემენ უფრო სრულ წარმოდგენას შესასწავლი პროცესების შესახებ.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-6"-ისა და „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟები აკვირდებოდნენ ღრუბელთა წარმონაქმნებსა და ციკლონებს, მთვარესა და ვარსკვლავებს ჰორიზონტის ფონზე, იღებდნენ მათ ფოტოსურათებს, აგრეთვე შეფასებას აძლევდნენ ჩვენი პლანეტის ჩრდილოვანი და განათებული მხარეების სიკაშკაშეს.

ხომალდ „სოიუზ-8"-ის მეთაურმა პოლკოვნიკმა ვ. ა. შატალოვმა შეასრულა მთელი რიგი მანევრები ხელის მართვის გამოყენებით.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-7"-ის ეკიპაჟი ახორციელებდა ხომალდის ხელის ორიენტაციას იმ ექსპერიმენტთა განსახორციელებლად, რომელთა შორის არის კასპიის ზღვის რაიონების ფოტოგრაფირება და კოსმოსური ნავიგაციის ელემენტების შემოწმება.

კოსმონავტები განაგრძობდნენ სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევას, სწავლობდნენ კოსმოსური ფრენის ფაქტორთა გავლენას ადამიანის ორგანიზმზე. სხვადასხვა ფუნქციური სინჯებისა და ფსიქო-ფიზიოლოგიური ტესტების საშუალებით განსაზღვრავდნენ ეკიპაჟის წევრთა ორგანიზმის მდგომარეობასა და მათი შრომისუნარიანობის დონეს.

სამედიცინო კონტროლის, რადიოსაუბრების, აგრეთვე „სოიუზ-6"-ის, „სოიუზ-7"-ისა და „სოიუზ-8"-ის ფრენის მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ ეკიპაჟების წევრები კარგად იტანენ კოსმოსური ფრენის ფაქტორების მოქმედებას და ამასთან ინარჩუნებენ შრომისუნარიანობის მაღალ დონეს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული სათვალთვალო სადგურები, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი", „მორჟოვეცი", „ნეველი", „ბეჟიცა", „დოლინსკი", „რისტნა", „კეგოსტროვი", „ბოროვიჩი" განუწყვეტლივ იღებენ და ამუშავებენ კოსმოსური ხომალდებიდან გამოგზავნილ ინფორმაციას და მუდმივი კავშირი აქვთ ეკიპაჟებთან.

დღე-ღამეზე მეტია ჯგუფურ ფრენას განაგრძობს სამი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი შვიდი კოსმონავტითურთ.

1969 წლის 14 ოქტომბრის 16 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" კოსმოსურმა ხომალდებმა შესაბამისად 50, 34 და 18-ჯერ შემოუარეს დედამიწას.

ერთობლივი ფრენის მეორე დღე-ღამის დასაწყისში სამივე კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟებმა შეამოწმეს მართვის ავტომატური და ხელის სისტემების მუშაობა. განსაზღვრეს დაბინდებისას და დედამიწის ჩრდილში ოპტიკური ვიზირის გამოყენებით ხელის ორიენტაციის განხორციელების შესაძლებლობა.

შეამოწმეს გრძნობიერი გადამწოდებისა და ადგილობრივი ვერტიკალის ამგების გამოყენებით სიჩქარის ვექტორისადმი ხელის ორიენტაციის სისტემის სიზუსტე.

ჰაერის წნევა ხომალდების საცხოვრებელ ნაკვეთურებში ვერცხლისწყლის სვეტის 790-820 მილიმეტრის ფარგლებშია. ტემპერატურა უდრის 20-24 გრადუსს ცელსიუსით. შეფარდებითი ტენიანობა 54-57 პროცენტია.

სამი კოსმოსური სამეცნიერო ლაბორატორია მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ასრულებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ერთიანი გეგმით.

ხომალდებსა და დედამიწას შორის მყარი ორმხრივი კავშირია. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ხომალდების ჯგუფის მეთაურმა პოლკოვნიკმა ვ. ა. შატალოვმა ყველა კოსმონავტის სახელით დიდი მადლობა უძღვნა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს — შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შემქმნელთ.

ნახ. გ. მაისურაძისა.

მოუსმინეთ ასტრონომებს

„სოიუზის" ტიპის კოსმოსური ხომალდების ფრენა ასტრონომთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საქტასის კორესპონდენტმა სთხოვა მეცნიერებს გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებანი კოსმოსის ათვისებაში ამ დიდმნიშვნელოვანი ეტაპის გამო.

ცნობილი პულკოველი ასტრონომი აკადემიკოსი ა. ა. მიხაილოვი:

საბჭოთა კოსმონავტიკის შესანიშნავ მიღწევათა დადასტურებაა კოსმონავტების ახლანდელი ფრენა „სოიუზის" ტიპის კოსმოსური ხომალდებით.

ეს ექსპერიმენტი კიდევ ერთხელ დამაჯერებლად გვიჩვენებს კოსმოსის ათვისების საბჭოთა პროგრამის ღრმად გააზრებასა და თანამიმდევრობას. ცხადია, ხომალდების ფრენის საბოლოო შედეგები საგულდაგულო და ღრმა ანალიზის საგანი გახდება. მაგრამ ახლავე შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ შესრულებული კვლევა გააფართოებს ჩვენს ცოდნას არა მარტო თვით კოსმოსის შესახებ, არამედ დედამიწის ბუნების შესახებაც.

სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს მამაც კოსმონავტებს მშვიდობით დაბრუნებას!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ასტრონომიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გ. ა. ჩებოტარიოვი:

ასტრონომები მოუთმენლად ელიან ცნობებს „სოიუზის" ტიპის ხომალდებიდან მეცნიერული კვლევის მსვლელობის შესახებ. ამ კვლევის შედეგები არა მარტო გააფართოებს ჩვენს მეცნიერულ ჰორიზონტს, არამედ პირველად მოგვცემს საშუალებას უნიკალური ტექნოლოგიური აპარატურის საშუალებით ღრმა ვაკუუმისა და უწონობის პირობებში შევამოწმოთ კოსმოსში ლითონთა შედუღების სხვადასხვა ვარიანტი. ყოველივე ეს კარგი დასაწყისი იქნება ისეთი ორბიტული კოსმოსური სადგურის შესაქმნელად, რომელზეც ოცნებობდა ჩვენი თანამემამულე, გამოჩენილი მეცნიერი კ. ე. ციოლკოვსკი.

შვიდნი — კოსმოსურ ორბიტაზე

დღე მესამე

საბჭოთა პილოტირებული ხომალდების ყოველი ახალი გაფრენა ახალი წვლილია კოსმოსური ტექნიკის განვითარებაში. სხვადასხვა მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტა, ხომალდის საბორტო სისტემების გამოცდა და შემოწმება, პილოტირების ტექნიკის დახვეწა — ასეთია ხომალდების „სოიუზ-6"-ისა და „სოიუზ-7"-ის დაწყებული ექსპერიმენტის პროგრამა. 13 ოქტომბერს ეს პროგრამა კიდევ უფრო განვითარდა — დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაყვანილია ამ სამ დღეში მესამე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-8". „სოიუზ-8"-მ, რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის ვლადიმერ ალექსანდრეს ძე შატალოვისა და ბორტ-ინჟინერ ალექსი სტანისლავის ძე ელისეევის შემადგენლობით, უკვე რამდენჯერმე შემოუარა დედამიწას. დაიწყო სამი პილოტირებული კოსმოსური ხომალდის ჯგუფური ფრენა.

როგორია ამ ჯგუფური ფრენის თავისებურებანი, როცა ერთდროულად დაფრინავს სამი ხომალდი? როგორია ამ ფრენის დამახასიათებელი ნიშნები? უწინარეს ყოვლისა თვით ის ფაქტი, რომ შეიქმნა „სოიუზ"-ის სერიის სამი ურთულესი რაკეტულ-კოსმოსური კომპლექსი, რომლებმაც გაიარეს ყოველმხრივი კომპლექსური შემოწმება, დროულად იყვნენ მომზადებული კოსმონავტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტისათვის, ცხადყოფს დიდი და ხანგრძლივი სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პროცესების ორგანიზაციული სტრუქტურის სიზუსტეს, მათი მართვისა და დაგეგმვის მეთოდების პროგრესულობას. ბევრი სიახლე შეაქვს სამი ხომალდის ჯგუფურ ფრენას თვით კოსმოსურ ტექნიკაში, მის ტექნოლოგიურ პროცესებშიც. ავიღოთ თუნდაც ის, რითაც იწყება ყოველი კოსმოსური რეისი — რაკეტულ-კოსმოსური კომპლექსის საიმედო მომზადება, რაკეტისა და ხომალდის მრავალმხრივი შემოწმება სპეციალურ სამონტაჟო-გამოსაცდელ კორპუსში. მოცემულ შემთხვევაში ამ წინასწარი ეტაპის სირთულე სამჯერ რაკეტულ-კოსმოსური კომპლექსების რიცხვის პირდაპირ პროპორციულად გაიზარდა.

ხომალდის ხანგრძლივი „დედამიწაზე გავლილი გზის" უკანასკნელი რგოლია სასტარტო კომპლექსი. ადამიანთა დიდი კოლექტივები ახორციელებენ აქ უკანასკნელ შემოწმებას, ხომალდისა და რაკეტის მომზადებას, სათბობით გაწყობას.

ურთულეს ტექნიკურ ამოცანას წყვეტს საკომანდო-საზომი კომპლექსისა და საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრის სამსახური. ხომალდების „სოიუზ-6"-ის, „სოიუზ-7"-ისა და „სოიუზ-8"-ის ჯგუფურ ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფენ საკომანდო-საზომი კომპლექსები დედამიწაზე. ჩვენი ქვეყნის საზომი პუნქტები, რომლებიც აღჭურვილი არიან სატრაექტორიო და ტელემეტრიული გაზომვების, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობის სრულყოფილი საშუალებებით, გამუდმებით იღებენ და ოპერატიულად ამუშავებენ ხომალდებიდან გამოგზავნილ ინფორმაციას, უშუალო კავშირი აქვთ ეკიპაჟებთან. ხომალდებთან კავშირის გასაფართოებლად იყენებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით გემებს, რომლებიც ოკეანეებში დაცურავენ.

სამი ხომალდის ჯგუფურმა ფრენამ მოგვცა შესაძლებლობა შეგვექმნა თავისებური დინამიკური კოსმოსური სისტემა. ამ სისტემაში შემავალ თითოეულ ხომალდს ფრენის დროს აქვს მანევრირების, სიმაღლეების დიდი დიაპაზონით ორბიტების პარამეტრების შეცვლის ფართო შესაძლებლობანი. ამ ფრენის დროს ხომალდებმა უკვე განახორციელეს ორიენტაციისა და სტაბილიზაციის, აგრეთვე ფრენის ორბიტის კორექციის მთელი რიგი დინამიკური ოპერაციები. კორექციისათვის „სოიუზის" სერიის ყველა ხომალდი აღჭურვილია სითხის რეაქტიული ძრავის დანადგარით. ამ დანადგარის ორ ძრავას (ძირითადსა და დუბლს) თითოეულს 400 კილოგრამი წევა აქვს, რაც შესაძლებლობას აძლევს ხომალდ „სოიუზს" 1.300 კილომეტრ სიმაღლემდე განახორციელოს მანევრები. ძრავის დანადგარი განლაგებულია ხელსაწყოებისა და აგრეგატების ნაკვეთურში კოსმონავტთა კაბინის გვერდით. ორიენტაციის დროს ხომალდის შემობრუნება ხორციელდება მცირე წევის რეაქტიული ძრავების სისტემის საშუალებით, რომელიც დადგმულია ნაკვეთურის კორპუსზე.

დაახლოებით 200 კილომეტრ სიმაღლეებზე, სადაც გადის „სოიუზის" სერიის სამი ხომალდის ტრასები, ატმოსფეროს სიმკვრივე უმნიშვნელოა. მაგრამ ატმოსფეროს სულ უმნიშვნელო კვალიც კი თანდათან ამუხრუჭებს ხომალდს. ამ ეფექტს „სოიუზების" დიდი ზომაც ზრდის. ამის შედეგად თანდათან მცირდება ხომალდის ფრენის სიმაღლე, ხოლო ატმოსფეროს უფრო მკვრივ ფენებში ხომალდი უფრო მეტად მუხრუჭდება. საბოლოოდ ამას შეიძლება მოჰყვეს მისი ნაადრევი დაჯდომა. „სოიუზის" სერიის ხომალდების სისტემები შესაძლებლობას ქმნიან განხორციელდეს კორექცია ფრენის პროგრამის შესაბამისად, როგორც ხელის მართვით, ისევე ავტომატურად.

სამი კოსმოსური ხომალდის პირველი ჯგუფური ფრენა წარმატებით გრძელდება. მეტად დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტები განახორციელეს „სოიუზ"-6"-სა და „სოიუზ-7"-ის ეკიპაჟებმა ნავიგაციის დარგში.

„სოიუზ-7"-ის ეკიპაჟი აწარმოებდა აგრეთვე დიდმნიშვნელოვან ტექნიკურ კვლევას — კოსმონავტები ხვეწდნენ ავტონომიური ნავიგაციის მეთოდიკასა და ხერხებს. განხორციელდა აგრეთვე პირველი სამეცნიერო გამოკვლევები. ეკიპაჟი სწავლობდა ილუმინატორების ზედაპირის მიკრომეტრულ ეროზიას, ფოტოსურათებს უღებდა დედამიწის ზედაპირსა და ღრუბლების საფარს, აკვირდებოდა დედამიწის ჰორიზონტს დღისით და ბინდში. სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის ასეთსავე ფართო პროგრამას ასრულებს აგრეთვე ხომალდ „სოიუზ-8"-ის ეკიპაჟი. ახლანდელი ჯგუფური ფრენის დამახასიათებელი თავისებურებაა ერთდროული მეცნიერული ექსპერიმენტები და ხომალდების ურთიერთმანევრირება.

ინჟინერი ა. კარიცკი,

შვიდნი ძმანი...

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

რეპორტაჟი კოსმოდრომიდან

მუზარადიანი კაცი იღიმება, მაჯის საათს დასჩერებია, ფურცლებს შლის. თითქოს იგი აქვე, ჩვენს გვერდით იყოს. მოხერხებულად ზის, მშვიდადაა. ძნელი დასაჯერებელია, რომ სწორედ ამ მომენტში კოსმოსურ რაკეტას სამყაროს სივრცეებში გაჰყავს „სოიუზ-8" ხომალდის მეთაური ვ. ა. შატალოვი და ბორტ-ინჟინერი ა. ს. ელისეევი.

აი უკვე მესამე დღეა კოსმოსური ტელევიზიის საშუალებით ვმონაწილეობთ შესანიშნავ ექსპერიმენტში. 13 ოქტომბერს ცენტრალურმა ტელევიზიამ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და რადიომრეწველობის სამინისტრომ მოაწყვეს რეპორტაჟი „სოიუზ-8" კოსმოსური ხომალდის სტარტის შესახებ. ბაიკონურის ტელესამსახურმა პლანეტის ყველა კუთხეში გადასცა უკანასკნელი ბრძანების სიტყვები:

— სტარტის მზაობა!

— არის სტარტის მზაობა!

— ჩართულია ანთება!

— რაკეტა თითქოს გატკეპნილ ბილიკზე გაცურდა! და აი გვესმის ალექსი ელისეევის ხმა:

— მადლობა ადამიანებს, ვინც ამზადებდა ჩვენს გაფრენას. ნახვამდის...

(საქტასის კორ.).

გეოგრაფია კოსმოსიდან

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-6"-ის ფრენამ მიიპყრო ყურადღება კოსმონავტების გ. ს. შონინისა და ვ. ნ. კუბასოვის მიერ უახლესი და ზემგრძნობიარე აპარატების საშუალებით შესრულებული მეცნიერული ექსპერიმენტების მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით. განსაკუთრებით საინტერესოა დედამიწის გეოლოგიურ-გეოგრაფიული ობიექტების ფოტოგადაღება. საქტასის კორესპონდენტმა ვ. მინოვსკაიამ პროგრამის ამ ნაწილის მნიშვნელობის შესახებ სთხოვა ეამბნა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნ. პ. ლავროვს.

კითხვა: რას ემსახურება აეროგადაღებისა და კოსმოსური გადაღების მასალები?

პასუხი: თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოგრაფიებს (ფოტოსურათებს, ფოტოპლანებს), ფართოდ იყენებს თავის მუშაობაში ბევრი საწარმო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია. კარტოგრაფირება სხვადასხვა მასშტაბით — დიდმნიშვნელოვანი ეტაპია რკინიგზების დაპროექტების დროს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაგეგმვის დროს. ტყემოწყობის სამუშაოთა კომპლექსიც კი აეროსურათებით სრულდება.

კოსმოსური ფოტოგრაფია, რომელიც აეროგადაღების მეთოდის გაგრძელება და გაუმჯობესებაა, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შორს შეიჭრა კოსმოსურ სივრცეში. ახლა გადაღება შეიძლება ვაწარმოოთ ათეულათასობით კილომეტრი სიმაღლიდან. ამასთან, კოსმოსური გადაღების ამოცანათა ნუსხა აეროგადაღებასთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება.

კითხვა: მართალია თუ არა, რომ კოსმოსიდან გადაღების დროს, მიუხედავად დიდი მანძილისა, შეიძლება მცირე დეტალების დანახვა?

პასუხი: დიახ, ეს ასეა. უმცირესი დეტალების გამოცნობა ხომ იმ პირობებზეა დამოკიდებული, რომლებშიც ფოტოგრაფირება მიმდინარეობს. თვითმფრინავიდან გადაღების დროს დიდი დაბრკოლებაა საფრენი აპარატის ვიბრაცია, გამოსახულება ადგილს ინაცვლებს, ხელს უშლის ატმოსფერო. კოსმოსური ხომალდიდან გადაღების დროს ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ფაქტორია ის, რომ საფრენი აპარატის ვიბრაცია არ ხდება. 70.000 კილომეტრი მანძილიდან ავტომატური სადგურის „ზონდ-7"-ის მიერ მიღებულ დედამიწის ფერად ფოტოსურათებზე აღმოჩენილია უფრო მცირე დეტალები, ვიდრე ეს თეორიულადაა შესაძლებელი. მაგალითად, თითქმის მთელ სიგრძეზე მოსჩანს მდინარე ნილოსის კალაპოტი, პატარა ტბები და მდინარეები.

კითხვა: „ლუნა-3"-ის და „ზონდ-3"-ის ტიპის კოსმოსურმა აპარატებმა ფოტოსურათები დედამიწაზე გადმოსცეს ხატელევიზიო არხით. ახალი სერიის აპარატების („ზონდ-5"-ის) შექმნით შესაძლებელი გახდა ფირის დედამიწაზე ჩამოტანა და უშუალოდ მეცნიერთა ხელში გადაცემა. რას გვაძლევს ეს?

პასუხი: კოსმოსიდან ფოტოსურათების სატელევიზიო არხით გადმოცემის დროს გამოსახულება მახინჯდება მრავალი ფაქტორის გავლენით, რომლებსაც უწინარეს ყოვლისა მიეკუთვნება ატმოსფერული პირობები. როცა ფოტოსურათები დედამიწას უბრუნდება, შესაძლებლობა გვეძლევა დიდი ოსტატობით დავამუშაოთ ისინი ქიმიურ-ფოტოგრაფიულად, ვაწარმოოთ გაზომვები, რომლებიც განსაზღვრავენ ნეგატივების ხარისხს, შევასრულოთ ფოტომეტრიული სამუშაოები. სწორედ ამიტომ დედამიწაზე „ზონდებით" ჩამოტანილ ფოტოსურათებს მეტი ინფორმაცია მოაქვთ, ვიდრე კოსმოსიდან მიღებულ ფოტოსატელევიზიო გამოსახულებას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კოსმოსიდან მიღებულ ფოტოსატელევიზიო გამოსახულებას თავისი უპირატესობანიც აქვს. კერძოდ, ასეთი გამოსახულება შეიძლება გადაიცეს ძალიან დიდ მანძილზე.

კითხვა: კოსმოსურმა ფოტოგრაფიამ საშუალება მოგვცა მიგვეღო ბევრი ახალი დიდმნიშვნელოვანი ცნობა ციური სხეულების ბუნების შესახებ. იგი სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის საიმედო მეთოდი გამოდგა. გვინდა ვიცოდეთ, ყოველთვის შეუძლია თუ არა ავტომატურ სადგურს ადამიანის შეცვლა?

პასუხი: ავტომატების დახმარებით მოგვიხდენია გადაღების ორიენტირება ზედაპირის საჭირო რაიონზე, მიგვიცია გადაღების დაწყების სიგნალი, მოგვიხდენია დაყოვნების რეგულირება. მაგრამ ადამიანს კოსმოსიდან ფოტოგრაფირების დროს გაცილებით ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. დედამიწიდან ყოველთვის როდი შეიძლება მათი ფოტოგრაფირებისა და დაპროგრამების ყველა პირობის რეგულირება. კოსმონავტს ფრენის დროს უფრო ზუსტად შეუძლია განსაზღვროს სავარაუდო მონაცემები, შეიტანოს ექსპონომეტრიული შესწორებანი. ვერც ერთი პროგრამით ვერ გავითვალისწინებთ, მაგალითად, ტაიფუნების წარმოშობის გადაღების შესაძლებლობას.

ავტომატისა და ადამიანის შეხამებას დიდი ხანია იყენებენ აეროფოტოგადაღების დროს. პროგრამული მოწყობილობანი ბევრი პროცესის ავტომატიზაციის საშუალებას გვაძლევენ. მაგალითად, საჰაერო ფოტოგრაფირების შესრულებისას ვიყენებთ ექსპოზიციის რეგულირების, სურათებს შორის გათვალისწინებული ინტერვალის განსაზღვრისა და დაცვის აპარატებს. ავტომატურად ხდება ფირის გადახვევა, საკეტის ფენზე შეყენება და დახსნა.

კითხვა: კოსმოსიდან გადაღების მიზანი მარტო მეცნიერული შემეცნება როდია. კოსმოსურ ფოტოგრაფიას, ალბათ, უკვე ახლა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის საქმიანობისათვის. ხომ არ შეგიძლიათ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამაზე?

პასუხი: კოსმოსური გადაღება შესაძლებლობას გვაძლევს გამოვარკვიოთ პლანეტებისა და მათი თანამგზავრების უზოგადესი ფიზიკური თავისებურებანი. დედამიწის კოსმოსური ფოტოსურათების მიხედვით, კერძოდ, შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი პლანეტის ბუნებრივი რესურსები. მე, როგორც სპეციალისტმა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კოსმოსური ფოტოგრაფიის დახმარებით შეიძლება გადაიჭრას ისეთი პრობლემები, როგორიცაა კარტოგრაფირება, ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება და სხვ.

კოსმოსიდან მიღებული ფოტოსურათების მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი პლანეტის კლიმატისა და მისი წყლის რეჟიმის თავისებურებანი, ოპერატიულად განვსაზღვროთ ტყის ხანძრების ადგილი, შევაფასოთ მწვანე მასის ბიოლოგიური პროდუქტიულობა. ამ ამოცანებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, რადგან საშუალებას გვაძლევენ დავაზუსტოთ ამინდის პროგნოზები, დავაპროექტოთ დიდ ტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსები და განვსაზღვროთ კიდევაც დედამიწის გარეგნული ცვლილებანი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. წინათ ყველა ამ პრობლემის გადაჭრა გაცილებით რთული იყო.

კოსმოსური სივრცის შემდგომი შესწავლა, სისტემატური დაკვირვება, და, კერძოდ, კოსმოსიდან გადაღება, დაეხმარება ადამიანებს უკეთ გაიცნონ მშობლიური პლანეტა, უფრო ფართოდ ჩააყენონ მისი ბუნებრივი სიმდიდრენი პროგრესის სამსახურში. (საქტასი).

კოსმონავტთა ალბომიდან

პირველ სურათზე (მარცხნივ) ხედავთ კოსმონავტ ვ. ვ. გორბატკოს ზამთრის წვრთნის დროს. მეორე სურათზე (შუაში) — კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-7"-ის ეკიპაჟის წევრი ვ. ნ. ვოლკოვი სტენდთან, რომელზეც განლაგებულია ხომალდზე კვების პროდუქტები. მესამე სურათზე (მარჯვნივ) — კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-7"-ის მეთაური ა. ვ. ფილიპჩენკო ჭადრაკს ეთამაშება უფროს ვაჟს ალექსანდრეს. მარცხნივ — ფილიპჩენკოს ცოლი ელისაბედი, მარჯვნივ — უმცროსი ვაჟი იგორი.

ფოტოები ვ. ხოროშილოვისა, (საქტასის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა მეცნიერების და ტექნიკის ტრიუმფი

ვამაყობთ!

კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი რამ ხდება. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა კოსმონავტიკის ტრიუმფი განაცვიფრებს ჩვენს პლანეტას.

საბჭოთა ადამიანების ეს ახალი გაფრენები კოსმოსში ისე ასახავენ ჩვენს დიდ მიღწევებს, ტექნიკურ პროგრესს, როგორც სარკეში.

საბჭოთა სკოლის თვითეული მუშაკი ამაყობს იმით, რომ სწორედ სკოლამ ჩაუნერგა ამ გმირებს მაღალი პატრიოტიზმის გრძნობა, მისცა საფუძველი მათს ფართო ცოდნასა და ფიზიკურ წრთობას. ეს გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით, ავამაღლოთ მათი სწავლების დონე, შევაყვაროთ მეცნიერება და ტექნიკა, მოვამზადოთ ისინი ცხოვრებისათვის.

ჩვენი გულისყური მიპყრობილია კოსმოსისაკენ, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა მფრინავი-კოსმონავტებისაკენ, და იმის მსურველნი ვართ, რომ წარმატებით განეხორციელებინოთ დასახული ამოცანა და ჯანმრთელი დაბრუნებოდნენ ჩვენს პლანეტას, დედამიწას, სამშობლოს.

ნიკო ჯაფარიძე,
სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ექსპერიმენტები მეცნიერულია

კოსმოსის ათვისებაში კიდევ ერთი ახალი დიდმნიშვნელოვანი ექსპერიმენტი განხორციელდა. დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მეცნიერულ-ტექნიკური კვლევისა და ექსპერიმენტების ფართო პროგრამას ასრულებს სამი საბჭოთა ხომალდი, რომლებშიც შვიდი კოსმონავტია.

მჯერა, დიდ ჰორიზონტს გადაშლის კაცობრიობის წინაშე ფრენის რთული რეჟიმების პირობებში ხომალდების ხელით მართვის, ორიენტაციისა და სტაბილიზაციის სისტემების დამუშავება, მეცნიერული დაკვირვებანი, დედამიწის გეოლოგიურ-გეოგრაფიული ობიექტების ფოტოგრაფირება, ატმოსფეროს კვლევა.

ჩვენი ქარხნის მუშები მშვიდობიან ფრენას ვუსურვებთ მამაც კოსმონავტებს და სიტყვას ვაძლევთ მათ, რომ ძალღონის დაუზოგავად ვიშრომებთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გ. წულაია,
თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საერთაშორისო ცხოვრება

უპრეცედენტო ექსპერიმენტი

გამოხმაურება უცხოეთში სამი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ფრენის გამო

◆

გ დ რ

ბერლინი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც კი საქდესმა გადასცა ცნობა, რომ კოსმოსურ სივრცეში გაუშვეს ახალი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-8", ადნის სააგენტომ წარწერით „ელვა" გაავრცელა ამ უპრეცედენტო საბჭოთა კოსმოსური ექსპერიმენტის ეს ამბავი. ადნის სააგენტოს ცნობაში უწინარეს ყოვლისა ყურადღება ექცევა იმას, რომ კოსმოსის ათვისების ისტორიაში პირველად საბჭოთა კავშირმა განახორციელა სამი კოსმოსური ხომალდის ერთდროული ფრენა, რომელშიც შვიდი კოსმონავტი მონაწილეობს. ადნის სააგენტოს ცნობაში ხაზგასმულია, რომ კოსმონავტები ვლადიმერ შატალოვი და ალექსი ელისეევი მეორედ გაფრინდნენ კოსმოსში და თავს ჩინებულად გრძნობენ.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 13 ოქტომბერი. (საქდესი). ახალი საბჭოთა კოსმოსური ხომალდების რეისები კვლავ № 1 ახალი ამბავია ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. პრაღის ერთერთმა უდიდესმა რადიოსადგურმა „ჩესკოსლოვენსკომ" შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემები და მსმენელებს აუწყა, რომ წარმატებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-8", რომელშიც არიან კოსმონავტები ვ. შატალოვი და ა. ელისეევი.

პრაღის რადიოს პირველ კომენტარებში „სოიუზ-8"-ის ფრენის შესახებ ხაზგასმულია, რომ მსოფლიოში პირველად კოსმოსში ერთდროულად წავიდა სამი კოსმოსური ხომალდი შვიდი კოსმონავტით.

ი ტ ა ლ ი ა

რომი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). იტალიის რადიომ უეცრად შეწყვიტა მორიგი გადაცემა და დიქტორმა გამოაცხადა, რომ ახლახან მიღებული საქდესის ცნობით საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზის" ტიპის მესამე კოსმოსური ხომალდი, რომელშიც იმყოფებიან მთელ მსოფლიოში ცნობილი კოსმონავტები შატალოვი და ელისეევი.

იტალიის ანსას საინფორმაციო სააგენტომ დაუყოვნებლივ შეატყობინა გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, რომ გაუშვეს „სოიუზ-8". საბჭოთა კოსმოსური „სამეული", იუწყება სააგენტო, კოსმოსში ასრულებს ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო ექსპერიმენტს.

საფრანგეთი

პარიზი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). აღნიშნით „სასწრაფო" ფრანს პრესის სააგენტომ გადასცა საქდესის ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს მესამე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-8", რომლითაც გაფრინდნენ კოსმონავტები ვ. შატალოვი და ა. ელისეევი.

„სოიუზ-8"-ის გაშვების შესახებ ცნობაში საფრანგეთის რადიო ხაზს უსვამს, რომ ეს მესამე კოსმოსური ხომალდია, რომელიც ამ ბოლო სამ დღეში გაუშვეს. კოსმოსშია შვიდი საბჭოთა კოსმონავტი, ხაზგასმულია რადიოს გადაცემაში.

ა ლ ჟ ი რ ი

ალჟირი, 18 ოქტომბერი. (საქდესი). აღნიშნით „სასწრაფო" გადასცა ალჟერი პრეს სერვისის სააგენტომ მოსკოვიდან მიღებული ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი" „სოიუზ-8".

იუგოსლავია

ბელგრადი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). მსოფლიოში პირველად მიმდინარეობს სამი კოსმოსური ხომალდის ჯგუფური ფრენა, რომლებშიც შვიდი კოსმონავტია. ეს ახალი ამბავი ტანიუგის სააგენტომ დაუყოვნებლივ გადასცა გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, რისთვისაც შეწყვიტა ჩვეულებრივი გადაცემები.

კოსმოსში კვლავ გაფრინდნენ ვლადიმერ შატალოვი და ალექსი ელისეევი, ხაზგასმულია ცნობაში. ისინი პილოტობენ კოსმოსურ ხომალდს „სოიუზ-8"-ს.

საბჭოთა კოსმონავტების ფრენას სააგენტომ უწოდა „საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ესკადრის" ფრენა.

რუმინეთი

ბუქარესტი. (საქდესი). ახალი ექსპერიმენტი კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში, ხაზგასმით აღნიშნა ცნობილმა რუმინელმა მეცნიერმა, ბუქარესტის ობსერვატორიის ასტროფიზიკისა და ხელოვნურ თანამგზავრთა განყოფილების გამგემ პროფესორმა კ. პოპოვიჩმა, იმის მაუწყებელია, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება დიდი ორბიტული სადგური, რომელსაც გამოიყენებენ სხვა კოსმოსური ობიექტების გასაშვებად და ასტროფიზიკური დაკვირვების სადგურების სისტემის შესაქმნელად. საბჭოთა კოსმონავტებს ვუსურვებთ მათი ისტორიული მისიის სრულ წარმატებას, მოველით მათ მშვიდობით დაბრუნებას.

შვეცია

სტოკჰოლმი. (საქდესი). საბჭოთა კავშირმა კოსმოსში გაუშვა მესამე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-8", რომელშიც ორი კოსმონავტია — ეს ცნობა შვეციის დეპეშათა ბიუროს № 1 ახალი ამბავი გახდა. ცნობაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირმა კოსმოსურ სივრცეში შექმნა „კოსმონავტთა უველაზე დიდი კოლონია".

გ ფ რ

ბონი. (საქდესი) ბოხუმის ობსერვატორიის დირექტორმა გ. კამინსკიმ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ახალ თვალსაჩინო მიღწევას კოსმონავტიკის დარგში. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ „თითქმის წარმოუდგენელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევაა ის ფაქტი, რომ „საბჭოთა კავშირმა სამ დღეში შეძლო აბსოლუტური მათემატიკური სიზუსტით გაეშვა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე სამი ესოდენ დიდი რაკეტული სისტემა შვიდი კოსმონავტითურთ". „ეს ასტრონავტიკის ტექნოლოგიის უდიდესი მიღწევაა", — ხაზგასმით აღნიშნა გ. კამინსკიმ.

ა შ შ

ნიუ-იორკი. (საქდესი). ამერიკის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უპირველესი მნიშვნელობის ახალ ამბად გაავრცელეს ცნობა საბჭოთა კავშირის ახალი მიღწევის — ხომალდ „სოიუზ-8"-ის გაშვების შესახებ. ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ექსპერიმენტი უპრეცედენტოა.

მშრომელები საქმით უპასუხებენ

პრაღა, 14 ოქტომბერი. საქდესის კორესპონდენტი ვ. დიევი გვატყობინებს:

სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშრომელები საქმით უპასუხებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას განავითარონ შემოქმედებითი და შრომითი ინიციატივა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური გაზეთების რედაქციებში ყოველდღიურად მოდის ასობით წერილი, დეპეშა და რეზოლუცია, რომლებშიც საწარმოთა სახელმწიფო მეურნეობათა და ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კოლექტივები უპატაკებენ მოპოვებულ შრომითს წარმატებებს.

ეხმაურებიან რა პარტიის მოწოდებას, აღმოსავლეთ სლოვაკიის მეტალურგიული კომბინატის მშრომელები ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს. როგორც გაზეთი „პრაცე" წერს, ამ უკანასკნელ ოთხ სამუშაო ცვლაში მათ განახორციელეს 45 ჩქაროსნული დნობა. ზოგიერთ ფოლადსადნობ ხაზზე გამოდნობის დღიური ნორმა თითქმის 60 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს თაოსნობაში ჩაებნენ აგრეთვე ვიტკოვიცის კ. გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მშრომელები. მათ ამოცანად დაისახეს წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1,2 მილიონი კრონის მანქანები და მოწყობილობანი.

სამრეწველო კოლექტივებს არ ჩამორჩებიან სოფლის მეურნეობის მშრომელებიც.

◻

ურთიერთგაგების ატმოსფეროში

სსრ კავშირის მთავრობის მოწვევით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. შუმანი ოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში 9-დან 13 ოქტომბრამდე.

მოსკოვში ყოფნის დროს მ. შუმანი მიიღეს ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მთელი რიგი საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან.

შეხვედრებისა და საუბრების დროს, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის კომუნიკეში, მოეწყო აზრთა ფართო და სასარგებლო ურთიერთ გაზიარება მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. საუბრებმა, რომლებიც გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ახალი წვლილი შეიტანა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაში იმ ერთობლივი დეკლარაციის სულისკვეთებით, რომელიც მიიღეს 1966 წლის 30 ივნისს სსრ კავშირში გენერალ დე გოლის ვიზიტის შედეგად.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის არსებული კეთილი ურთიერთობის გამო, და ხაზი გაუსვეს თავიანთი მთავრობების მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვან ყველა დარგში ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების, დაახლოებისა და თანხმობის კურსი, რაც შეესაბამება ტრადიციული მეგობრობის გრძნობებს, რომლებიც აკავშირებს მათს ხალხებს, შეესაბამება მათს ურთიერთ ინტერესებს. ასეთი ურთიერთობა ემსახურება მშვიდობის საქმეს და ხელს უწყობს იმ პრობლემათა მშვიდობიან გადაჭრას, რომელთა გამო გაყოფილია მსოფლიო. ამასთან დაკავშირებით მათ განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ სასარგებლოა პოლიტიკური კონსულტაციები. რომლებიც რეგულარულად ეწყობა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის სხვადასხვა დონეზე, და განაცხადეს, რომ კვლავაც შეათანხმებენ თავიანთ ღონისძიებებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

მხარეებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, უპირველესი ყურადღება დაუთმეს ევროპის პრობლემების განხილვას. მათ მიაჩნიათ, რომ ჯეროვნად მომზადებული სრულიად ევროპის თათბირი იმის ეფექტიანი საშუალება იქნებოდა, რომ განვითარდეს ევროპის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობა მათი ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე, შეწყდეს ევროპის გათიშვა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებად და ამით განმტკიცდეს უშიშროება და მშვიდობა. საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა გადაწყვიტეს განაგრძონ აზრთა გაზიარება ამ საკითხზე ურთიერთ შორის, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან.

განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობის სხვა საკითხები. ორივე მხარემ დიდი შეშფოთება გამოთქვა ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის საშიშ გამწვავებასთან დაკავშირებით. მათ დიდი ყურადღება დაუთმეს ვიეტნამში ომისა და უცხოეთის ყოველგვარი ინტერვენციის შეწყვეტის პრობლემას.

მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ განაგრძონ ღონისძიებანი მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო განიარაღებისათვის. ისინი იზიარებენ იმ აზრს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იხელმძღვანელებს რა თავისი წესდების დებულებებით, შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კონტაქტებს უმაღლეს დონეზე, რაც დასტურდება სსრ კავშირისა და საფრანგეთის უკანასკნელი წლების ურთიერთობის გამოცდილებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეშვეობით სთხოვეს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟორჟ პომპიდუს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში 1970 წელს. მ. შუმანმა აღნიშნა, რომ ჟორჟ პომპიდუსაგან მიიღო ცნობა, რომ მადლობელია ამ მიწვევისათვის და სიამოვნებით აცხადებს თანხმობას. თავის მხრივ საფრანგეთის მინისტრმა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საფრანგეთის მთავრობის სახელით კვლავ სთხოვა ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტით ეწვიონ საფრანგეთს. ამ მიწვევას მადლობით დაეთანხმნენ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. შუმანმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს სთხოვა ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს საფრანგეთს მომავალი წლის დამდეგს. ამ მიწვევას გრომიკო კმაყოფილებით დათანხმდა. (საქდესი).

◻

ვ ი ზ ი ტ ი დ ა მ თ ა ვ რ დ ა

14 ოქტომბერს მოსკოვიდან ვენას გაემგზავრა გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მორის შუმანი. იგი საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით. (საქდესი).

დიდი იუბილეს შესახვედრად

პრაღა, 14 ოქტომბერი. (საქდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ღონისძიებათა ფართო პროგრამის შემუშავებას დიდი ყურადღება დაეთმო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ჩეხიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც პრაღაში გაიმართა. პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა საპროგრამო დირექტივა 1970 წლისათვის ჩეხიის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კავშირის ყველა ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. ლენინური იდეების ფართო პოპულარიზაციის მიზნით გაიმართება კავშირის ორგანოების საზეიმო სხდომები, საუბრები, ლექციები, დისკუსიები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და სემინარები.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ჩეხიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც სავსებით უჭერს მხარს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პლენუმის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ორგანიზაციის ყველა წევრი მზადაა აქტიურად იბრძოლოს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

წერილი ამერიკელ ხალხს

ჰანოი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთან სოლიდარობის ვიეტნამის კომიტეტის თავმჯდომარემ ხოანგ მინ ზიამმა წერილით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს.

ვიეტნამელ ხალხს, წერს ხოანგ მინ ზიამი, სურს იცხოვროს მშვიდობიანად, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში, როცა პატივს სცემენ ჩვენი ხალხის ძირეულ ეროვნულ უფლებებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მალე მთლიანად და უშენიშვნოდ გაიყვანონ ამერიკის ჯარები, რათა სამხრეთვიეტნამელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი საქმეები.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის 10 პუნქტი გამოხატავენ ამ სამართლიან მოთხოვნებს.

ხოანგ მინ ზიამი მიესალმება ვიეტნამის აგრესიული ომის შეწყვეტისათვის კამპანიის მონაწილეებს, რომელიც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიშალა, და გამოთქვამს რწმენას, რომ ამერიკელი ხალხი „იხსნის თავის ახალგაზრდობას სამხრეთ ვიეტნამში უაზრო დაღუპვისაგან, დაიცავს მილიონობით ამერიკელის ოჯახის ბედნიერებას, დაიცავს შეერთებული შტატების ღირსებას".

ო. შიკი გარიცხეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიიდან

პრაღა, 14 ოქტომბერი. (საქდესი). **როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ თავის 13 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა ო. შიკის ანტიპარტიული საქმიანობა, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში.**

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მაისის პლენუმზე აღნიშნა, რომ ო. შიკმა თავისი მოქმედებით გასულ წელს უხეშად დაარღვია პარტიული დისციპლინა და სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მოქალაქის მოვალეობანი, ნათქვამია ცნობაში სამდივნოს სხდომის შესახებ, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებით ო. შიკი გარიცხული იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. მიუხედავად სერიოზული გაფრთხილებისა, ო. შიკი საზღვარგარეთ განაგრძობდა საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრინციპებსა და პოლიტიკასთან. ამიტომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ო. შიკი გარიცხა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რიგებიდან.

◻

გერმანელ კომუნისტთა ამოცანები

ბონი, 13 ოქტომბერი. (საქდესი). 11-12 ოქტომბერს დიუსელდორფში გაიმართა გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის სხდომა. მოხსენება-მდგომარეობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ და გერმანელთა კომპარტიის მომავალი ამოცანები — გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ კურტ ბახმანმა.

მოხსენების განხილვის შემდეგ გერმანელთა კომპარტიის გამგეობამ მიიღო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ თუ „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური ძალების თანაფარდობაში არსებითი ცვლილებანი არ მომხდარა, სამაგიეროდ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის 20 წლის ბატონობის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველად შეიქმნა ახალი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობის გამოსაყენებლად საჭიროა დემოკრატიული ძალების აქტიური მოქმედება, რათა წინაალუდგნენ მსხვილი კაპიტალისა და მემარჯვენე ძალების გავლენას ახალ მთავრობაზე. გერმანელთა კომპარტია, ხაზგასმულია განცხადებაში, ახალ მთავრობაზე იმსჯელებს მისი საქმეების მიხედვით. იგი მხარს დაუჭერს ამ მთავრობის დადებითს ღონისძიებებს და წინააღმდეგობას გაუწევს მემარჯვენე ძალებისა და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალისტურ და რეაქციულ გამოხდომებს.

გერმანელთა კომპარტიის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. საგარეო-პოლიტიკურ დარგში ახალი მთავრობის სხვა უპირველეს ღონისძიებად გერმანელთა კომპარტიას მიაჩნია „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტრუქციული წვლილი უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მომზადებაში".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ აგრეთვე უნდა ცნოს ევროპაში არსებული საზღვრები, ხელი აიღოს პრეტენზიებზე იყოს ყველა გერმანელის ერთპიროვნული წარმომადგენელი, უარი თქვას „ჰალშტაინის დოქტრინაზე", თავიდანვე უკანონოდ გამოაცხადოს მიუნხენის შეთანხმებანი. ბონმა, აცხადებს შემდეგ გერმანელთა კომპარტიის გამგეობა, დადებითი პასუხი უნდა გასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლო წინადადებებს ორივე გერმანული სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

საშინაო პოლიტიკის დარგში გერმანელთა კომპარტიას მთელი დემოკრატიული ძალების უპირველეს ამოცანად მიაჩნია ბრძოლა ნეონაციზმის წინააღმდეგ. იგი მოითხოვს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დაუყოვნებლივ დაშლას.

გერმანელთა კომპარტიის გამგეობამ მოუწოდა პარტიის ყველა წევრს უახლოეს თვეებში გაშალონ კამპანია პარტიაში ახალი წევრების მოსაზიდად და გაზეთ „უნზერე ცაიტის" ხელმომწერთა რიცხვის გასადიდებლად. ამ კამპანიის შედეგებს გერმანიის კომპარტიის პრეზიდიუმი შეაჯამებს მომავალი წლის აპრილში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინ.

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით

თურქეთი, იზმირის მახლობლად დაიწყო ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა. მისი სიმძლავრე იქნება 3 მილიონი ტონა გადასამუშავებელი ნავთობი წელიწადში. ეს უდიდესი საწარმო იგება საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით. ამჟამად სამშენებლო მოედანზე დამთავრებულია მიწის სამუშაოები.

ამას წინათ ქარხნის მშენებლობაზე ჩამოვიდა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი.

სურათზე: საბჭოთა და თურქი სპეციალისტების ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ — აზერბაიჯანელი ინჟინერი ხ. ხელიმხანოვი, თურქი სპეციალისტი ახმედ ერდოგანი, საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ბოროდინი, მშენებლობის მთავარი ინჟინერი ნაჯი უგური და საბჭოთა სპეციალისტი ვ. ლიზუნკოვი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

სასოფლო ვაჭრობა

გაზრდილ მოთხოვნათა დონეზე

ცეკავშირის მუშაკთა აქტივის კრებაზე

◆

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის კოლექტივებისათვის მიმდინარე წელი გამოირჩევა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მაღალი ტემპით. ამ პოზიციებიდან შეაფასეს სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის გაწეული მუშაობა ცეკავშირის მუშაკთა აქტივის კრებაზე.

კრება გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. შელიამ.

მოხსენება, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების შესრულების, კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი კულტურის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ გააკეთა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიძემ.

კოოპერატორებისათვის, აღინიშნა კრებაზე, ლენინური შრომითი ვახტი საპატიო და პასუხსაგები საქმეა. საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. მარტო მესამე კვარტალში სოფლის მოსახლეობას დამატებით მიეყიდა 1.829 ათასი მანეთის სხვადასხვა საქონელი. მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის კოოპერირების დონე.

განსაკუთრებით ზრუნავენ მოსახლეობის მომსახურების მოწინავე ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვისათვის, სავაჭრო შენობათა რაციონალურად გამოყენებისათვის, საქონლის რეკლამისათვის.

განვლილი 9 თვის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაცემულია 78 კეთილმოწყობილი ობიექტი. ესენია სავაჭრო ცენტრები, უნივერსალური მაღაზიები, სასადილოები, კაფეები, რესტორნები, პურსაცხობები.

ბევრ კოოპერაციულ ორგანიზაციაში შექმნილია კომუნისტური შრომის სკოლები. კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება მიენიჭა ათობით რაიკოოპკავშირისა და რაიკოოპერატივის კოლექტივებს.

სოფლად ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლამ კოოპერატორებისაგან მოითხოვა კომერციული მუშაობის გაძლიერება. კიდევ უფრო უკეთ მოგვარდა მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლა.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ცეკავშირის ფინანსური და სამეურნეო განმტკიცებისათვის. მეპაიეები აქტიურად მონაწილეობენ კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობაში. საგრძნობი შედეგებია მიღწეული კადრების მომზადების, კოოპერაციაში ახალგაზრდობისა და ქალების ჩაბმის საქმეში, შემცირდა კადრების დენადობა.

მაგრამ ზოგიერთი კოოპერაციული ორგანიზაციის სავაჭრო საქმიანობას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. შემაშფოთებელია, რომ საქონელბრუნვის ცხრა თვის გეგმა 64 რაიკოოპკავშირიდან და რაიკოოპერატივიდან შეასრულა მხოლოდ 39-მა, ანუ კოოპერაციული ორგანიზაციების 38 პროცენტმა თავი ვერ გაართვა დავალებას.

ჩოხატაურის რაიკოოპკავშირმა მოსახლეობას დააკლო 389 ათასი მანეთის საქონელი, სამტრედიისამ — 378 ათასი მანეთისა, ლანჩხუთისამ — 749 ათასი მანეთისა, ამბროლაურისამ — 207 ათასი მანეთისა. კვარტალიდან კვარტალამდე ვერ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმას ბოლნისის რაიკოოპკავშირი, წულუკიძის, გეგეჭკორისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციები.

ცეკავშირის გამგეობამ გააანალიზა მათი მუშაობა და დაასკვნა, რომ ამ ორგანიზაციების მიერ გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია ვაჭრობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია. აქ შეფერხება იყო ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის ვაჭრობაში, მაღაზიები არ იცავდნენ მუშაობის დადგენილ საათებს, სავაჭრო საწარმოები ხანგრძლივი დროით იყო დაკეტილი ინვენტარიზაციისათვის, ნაკლებად იყო ორგანიზებული საქონლის ცენტრალიზებული მიწოდება კოოპერატივებისათვის და წრიული შეზიდვა საცალო ქსელში.

წელს ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებრივი კვების ობიექტების ქსელის გაფართოებისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი კვების კოლექტივმა საქონელბრუნვის 9 თვის გეგმა 100,9 პროცენტით შეასრულა, სოფლად საზოგადოებრივი კვება ჯერ კიდევ საკმარისად არ ვითარდება.

დადგა შემოდგომა. სწორად იქცევიან ის კოოპერატორები, რომლებიც განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს ზამთრის სეზონისათვის მზადების მიმდინარეობას. ამოცანა ის არის, რომ თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სეზონური მოთხოვნის სხვა საქონელი დროულად შევზიდოთ დაშორებულ პუნქტებში, განსაკუთრებით მაღალი მთის რაიონებში. საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ საწყობების, ბაზების, ბოსტნეულის საცავების რემონტი, შევქმნათ [illegible] ხილის მარაგი, [illegible] მათი საიმედო შენახვა [illegible] ორგანიზაციებმა [illegible] არ უნდა დაუშვან აგრეთვე [illegible] სისტემების, ელექტროგანათების რემონტის დაყოვნება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დახლის მუშაკები მუშაობდნენ ნორმალურ პირობებში, რომ სიცივე არ აფუჭებდეს პროდუქტებს.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ წლის ბოლომდე, რათა უზრუნველვყოთ კულტურული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება, განვამტკიცოთ თითოეული კოოპერაციული ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა.

კრებაზე შეეხნენ საქართველოს კოოპერატორთა მრავალმხრივი საქმიანობის ბევრ გადაუდებელ ამოცანას. აღინიშნა, რომ საჭიროა მხარი გაუსწორონ მოწინავე კოლექტივებს, კომუნისტური შრომის დამკვრელებს. სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმატებითი საქმიანობის საგულისხმო მაგალითები კი რესპუბლიკის ყოველ რაიონში მოგვეპოვება. ეს მოწმობს, რომ გვაქვს დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა ავამოქმედოთ, რათა მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ 1969 წლის გეგმები, ხუთწლედის დავალებებისა და იმ ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, რომლებიც სკკპ 23-ე ყრილობის დირექტივებმა დაუსახეს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე პ. ხარებოვი, ხაშურის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე თ. გოგიტაშვილი, სამტრედიის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. სტურუა, ჩოხატაურის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჩიგოგიძე, ვანის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. იობიძე, ჩხოროწყუს რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ზ. პაპავა.

კრების მონაწილეებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებშიც ნათქვამია, რომ საქართველოს კოოპერატორები ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე შეასრულონ 1969 წლისა და ხუთწლედის დავალებანი.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიძემ შეკრებილთ გააცნო მუშაობა ჰამბურგის საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის XXIV კონგრესისა, რომლის მონაწილეც იგი იყო. (საქდესი).

◻

ემზადებიან მოსახლეობის აღწერისათვის

1970 წლის იანვარში ჩვენს ქვეყანაში მოეწყობა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მორიგი, მეხუთე აღწერა. ამ დიდი და რთული მუშაობის წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმ ადამიანთა სპეციალურ მომზადებაზე, რომლებიც აღწერას აწარმოებენ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოსახლეობის აღწერის განყოფილება 13-18 ოქტომბერს ატარებს სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორთა, მათ მოადგილეთა და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების აღწერის განყოფილებების გამგეთა მეცადინეობას.

მეცადინეობაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე ა. ბურდილაძე.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1970 წლის აღწერის მიზნები და ამოცანები, პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა" კურსების მსმენელებს წაუკითხა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ რესპუბლიკის დამსახურებულმა ეკონომისტმა ა. ხაჩიძემ.

ექვსი დღის მანძილზე სტატისტიკური ინსპექციის მუშაკები შეისწავლიან საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერის პროგრამას, გაეცნობიან მისი მოწყობის წესის ინსტრუქციას, სააღწერო ფურცლების შევსებას, სხვა დამხმარე დოკუმენტების გაფორმებას. მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხს, კერძოდ, კადრების შერჩევას, დამტკიცებასა და ინსტრუქტაჟს.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ ა. ბურდილაძემ თქვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში აღწერაზე იმუშავებს 12 ათასამდე აღმრიცხველი და თითქმის 2 ათასი ინსტრუქტორ-კონტროლიორი. სულ კი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩაბმული იქნება 16 ათასი კაცი. (საქდესი).

◆

სომხეთის სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში

ყვავილებით, მეგობრულად შეხვდნენ 13 ოქტომბერს მოსკოველები სომხეთის წარმოგზავნილთ, რომლებიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის მეცნიერების ლენინურ დღეებზე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. გ. ხაჩატურიანი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი, რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. (საქდესი).

ოფიციალური განყოფილება

მოსამზადებელი განყოფილებები უმაღლეს სასწავლებლებში

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის ამაღლებისა და მათთვის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის საჭირო პირობების შექმნისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს 1969-70 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შექმნან მოსამზადებელი განყოფილებანი, 300 კაცის კონტინგენტით.

1969-70 სასწავლო წელს მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის კონკრეტული წინადადებების შემუშავება დაევალა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს. წინადადებებში გათვალისწინებული უნდა იყოს მსმენელთა შერჩევა და ჩარიცხვის წესი, პედაგოგებით, სასწავლო პროცესის მატერიალური ბაზით, საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სხვ.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიეცათ წინადადება მკაცრი კონტროლი გაუწიონ სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მოსამზადებელ განყოფილებებზე შემსვლელი მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების შერჩევისა და გაგზავნის საქმეში.

უმაღლეს სასწავლებლებში მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნა ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებში ყველაზე მცოდნე ახალგაზრდების მომზადებისა და შერჩევის გაუმჯობესებას. (საქდესი).

ჰიდროლოგთა ფორუმმა მუშაობა დაამთავრა

18 ოქტომბერს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში საზეიმოდ დაიხურა მსოფლიოს 35 ქვეყნის ჰიდროლოგთა ფორუმი, რომლის სემინარულმა მეცადინეობამ 18 დღეს გასტანა.

საერთაშორისო სემინარს დასკვნითს სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა მისმა დირექტორმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წყლის რესურსების სექტორის განყოფილების უფროსმა ა. ალაგაპანმა:

— გამოცდილების ფართო გაზიარებამ, რომელიც სემინარზე მოხდა, თქვა მან, გვიჩვენა, რომ იმ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებიც ყველა ქვეყანაში ხორციელდება წყალმოვარდნის საშიშროებათა თავიდან აცილების მიზნით, თანდათან გაიზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანოების მიერ მათი კოორდინაციის შედეგად.

ა. ალაგაპანმა დიდი და გულწრფელი მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, აგრეთვე ინსტიტუტს, სადაც მიმდინარეობდა სემინარული მეცადინეობა, ჰიდროლოგთა საერთაშორისო შეხვედრის ჩინებული ორგანიზაციისათვის, იმ გულითადი მასპინძლობისათვის, რომელიც ქართველმა ხალხმა გაუწია სემინარის მონაწილეებს.

სემინარის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს ცეილონის ირიგაციის დეპარტამენტის დირექტორმა ვ. ნ. რაჯარატნამმა, სუდანის ირიგაციისა და ჰიდროტექნიკის მინისტრის მოადგილის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ა. ბადრმა, ეთიოპიის წყლის რესურსების დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ტ. ფორკამ, ურუგვაის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ჯ. ეტჩარტმა, ირანის წყლისა და ენერგეტიკული რესურსების სამინისტროს კვლევის განყოფილების უფროსმა მ. ალავიმ და სხვებმა.

საქართველოს სსრ მთავრობის, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტის სახელით სემინარის მონაწილეებს ფორუმის წარმატებითი დამთავრება მიულოცა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ც. ე. მირცხულავამ. მან გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ სემინარის მონაწილენი შეთანხმდნენ მთელ რიგ საკითხებზე.

სემინარზე შეიმუშავეს რეკომენდაციები წყალმოვარდნის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების განხორციელებისათვის. ეს რეკომენდაციები უნდა შეასრულონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ, იუნესკომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ.

სემინარის მონაწილეებმა გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ დედამიწის სხვადასხვა ნაწილში წყალმოვარდნებს დიდი უბედურება მოაქვთ მილიონობით ადამიანისათვის, განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის, და მიზანშეწონილად ცნეს დაწესდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური პრობლემების საბჭოს ეგიდით წყალმოვარდნის მართვის მუდმივი კომიტეტი.

(საქდესი).



საქართველოს მთა და ბარში

შემოქმედებითი თანამეგობრობა აახლოებს

ჩეხოსლოვაკიელი მუსიკალური მოღვაწენი თბილისში

◆

ორი წლის წინათ საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 50 წლისთავი. ამ ზეიმზე ჩამოვიდნენ მუსიკალური მოღვაწენი, უცხოელი სტუმრები. მათ შორის იყო პრაღის კონსერვატორიის პრორექტორი ვაცლავ გუბაჩეკი, რომელიც რამდენიმე დღეს დარჩა თბილისში. ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულმა სტუმარმა თბილისის კონსერვატორიის რექტორს ს. ცინცაძეს სთხოვა შემოქმედებითი კონტაქტი დაემყარებინათ პრაღისა და თბილისის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებს შორის. ეს წინადადება დიდი სიამოვნებით მიიღეს.

და აი გასულ კვირა დღეს თბილისში ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოვიდა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პრაღის კონსერვატორიის რექტორი ვაცლავ გოლპანეხტი, პრორექტორი ვაცლავ გუბაჩეკი, პროფესორი ბოჟენა კრონიხოვა, სტუდენტები პავლა ბრჟინკოვა, მიროსლავ ვლკი, ფრანტიშეკ მაქსიანი, დაგმარ ზარუბოვა. ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად, მეგობრულად შეხვდნენ.

ჩვენ დიდი სიხარულით ვემასპინძლობთ ჩეხოსლოვაკიელ მუსიკალურ მოღვაწეებს, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ცინცაძემ.— საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მუსიკოსთა კულტურული ურთიერთობის გამოცოცხლება ხელს შეუწყობს მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები საქართველოში ერთ კვირას დარჩებიან. ამ ხნის მანძილზე ისინი გაეცნობიან თბილისის კონსერვატორიის საქმიანობას. თბილისში ყოფნის პროგრამაშია თბილისის, რუსთავის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, მოგზაურობა კახეთში. გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გაიმართება კონცერტი პრაღელი მუსიკოსებისა და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა მონაწილეობით, ხოლო თელავში — კონცერტი-შეხვედრა ადგილობრივი მუსიკალური სასწავლებლის კოლექტივთან.

გათვალისწინებულია აგრეთვე მცხეთაში გამგზავრება, ქართული არქიტექტურის ძეგლების დათვალიერება.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები ჩავლენ ბათუმში, შეხვდებიან იქ მუსიკალური სასწავლებლის კოლექტივს, გამართავენ კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები და ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეები.

13 ოქტომბერს, ჩეხოსლოვაკიელ მუსიკალურ მოღვაწეთა ჩამოსვლის პირველ დღეს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა პრაღის კონსერვატორიის სტუდენტთა და პროფესორთა კონცერტი.

კონცერტის დაწყებამდე სტუმრებს გულთბილად მიესალმა ს. ცინცაძე. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს შეხვედრა, დელეგაციათა გაცვლა ხელს შეუწყობს საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მუსიკალურ მოღვაწეთა შემოქმედებით თანამეგობრობას.

კონცერტზე შესრულდეს კომპოზიტორების სმეტანას, სტამიცას, ბიზეს, პაგანინისა და სხვათა ნაწარმოებები.

დიდი წარმატება ხვდათ წილად პრაღელ სტუდენტებს პავლა ბრჟინკოვას, მიროსლავ ვლკას, ფრანტიშეკ მაქსიანს, დაგმარა ზარუბოვას, პროფესორ ბოჟენა კრონიხოვას. მსმენელებმა ტაშით დააჯილდოვეს შემსრულებლები.

მომავალი წლის გაზაფხულზე პრაღაში გაემგზავრება ქართველ მუსიკოსთა, თბილისის კონსერვატორიის პროფესორთა და სტუდენტთა დელეგაცია, რომელიც შემოქმედებით კონტაქტებს დაამყარებს პრაღელ კოლეგებთან.

(საქდესი).

ქუთაისელთა სტუმარი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ქუთაისს სტუმრად ეწვია ცნობილი პოლონელი მოქანდაკე, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი, პროფესორი სტანისლავ გორნო-პოპლავსკი.

ჯერ კიდევ 1967 წელს, როცა მოსკოვისა და თბილისის შემდეგ ს. გორნო-პოპლავსკის პერსონალური გამოფენა ქუთაისში იქნა გადმოტანილი, გამოჩენილი მოქანდაკე ქუთაისში მოიწვიეს, მაგრამ ჩამოსვლა ვერ შეძლო და დეპეშა გამოგზავნა, რომ სულ მალე ესტუმრებოდა, ამასთანავე აცნობა, რომ თავის ნამუშევარს — კოლხიდელი ქალიშვილის ქანდაკებას საჩუქრად უძღვნიდა თავის მშობლიურ ქალაქს. (პოლონელი მოქანდაკე ქუთაისშია დაბადებული). მან სიყვარულით დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და მიაკვლია წერეთლის ქუჩაზე მდებარე № 95 სახლს, რომელშიც მან ბავშვობის წლები გაატარა.

საღამო ახალციხეში

ახალციხე. (საკ. კორ.). მესხეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მეგობრობის საღამო, რომელიც მიეძღვნა ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერლის ოვანეს თუმანიანის დაბადების 100 წლისთავს.

საღამო გახსნა საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მეორე მდივანმა ო. სოხაძემ.

მოხსენებებით ოვანეს თუმანიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდნენ მასწავლებლები ა. თორგომიანი, ი. ნებაძე, ს. პოღოსიანი.

დასასრულ ახალციხის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეთა და სარაიონო კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადის ძალებით გაიმართა კონცერტი.

□

მოიგო „ვოლგა“

გარდაბანი. (საკ. კორ.). მუხროვანის საბჭოთა მეურნეობის მძღოლმა ა. ჭანიაშვილმა დოსააფის ლატარიის 29.836 სერიის № 17 ბილეთით მოიგო ავტომანქანა „ვოლგა“.

ქართველი მხატვრის წარმატება

ამ რამდენიმე ხნის წინათ იუგოსლავიაში სცენოგრაფიისა და კოსტუმების მეორე საერთაშორისო გამოფენაზე თეატრალური კოსტუმებისა და ესკიზების საბჭოთა ექსპოზიციამ მეორე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილი წილად ხვდა ფრანგულ, ხოლო მესამე იუგოსლავიის ექსპოზიციებს. საბჭოთა გამოფენაში მონაწილეობას იღებდა ქართველი მხატვარი მამია მალაზონია, რომლის ნამუშევრებმა — ქალთა და მამაკაცის თეატრალურმა კოსტუმებმა, რომლებიც შესრულებულია „დიდოსტატის მარჯვენისათვის“, სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საკავშირო მხატვართა კავშირის პროპაგანდის განყოფილებამ, მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რსფსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ვასილიევმა იუგოსლავიაში გამართულ მეორე საერთაშორისო გამოფენაზე დიდი წარმატებისათვის მადლობის სიგელი გამოუგზავნეს ახალგაზრდა მხატვარს მ. მალაზონიას და უსურვეს შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

წარდგენილია დათვალიერება-კონკურსზე

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების საუკეთესო განაშენიანებისა და კეთილმოწყობის 1969 წლის სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსზე წარდგენილი არიან ლაითურისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური კარმიდამოები და გალის რაიონის ზემო ბარღებისა და მახარაძის რაიონის ნაგომრის საკოლმეურნეო სოფლები. სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის ერთ-ერთი ქუჩა (კოლმეურნეობა „საქართველო“).

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მილიონი წლების მიღმიდან...



ბუნების მკვლევარის პ. ჭაბუკიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

ოთხმოცი წლის კაცი ფეხმარდად მიაბიჯებს მთის ფერდობზე. თითქოს პირველად გაელოს ამ ზღაპრულ ადგილებზეო, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს კარსტულ გამოქვაბულებს, სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს, მერე კიდევ ერთ მაღლობს გაუყვება და სწორედ იქ შესვენებს, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ცის დასალიერო — ქუთაისიდან შავ ზღვამდე გადაჭიმული კოლხეთის დაბლობი. აქედან გამოქვაბულებს შორის დინოზავრების ნაკვალევთან მივა, ხელში ჯოხს მოიმარჯვებს და იმის გარჩევას შეუდგება, თუ რომელი ნაკვალევი ეკუთვნის მტაცებელ დინოზავრებს და რომელი ბალახის მჭამელებს.

მილიონი წლების მიღმა იხედება ეს კაცი, მილიონი წლების სიღრმეში, მერე აქ მოსულ ტურისტებსა და ექსკურსანტებს მიესალმება და მოუყვება, რომ სწორედ აქ, სადაც ახლა ისინი დგანან, 120 მილიონი წლის წინათ, მეზოზოური ერის ცარცის პერიოდში, ოკეანის ნაპირი იყო და მასზე დინოზავრები ცხოვრობდნენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, აგრეთვე უცხოეთიდან ჩამოსული ადამიანები ეცნობიან ბუნების ამ იშვიათ ძეგლებს, ასე მიჯრით, ერთიმეორის მიყოლებით რომ განულაგებია თვითონ ბუნებას, ეცნობიან ამ ძეგლთა პირველ აღმომჩენს პეტრე ჭაბუკიანს, რომელიც ასე შთამბეჭდავად ესაუბრება მათ ყველაფერზე — ცარცის პერიოდიდან მოკიდებული ჩვენს დრომდე.

ეს მან, პეტრე ჭაბუკიანმა, ქუთაისელმა პედაგოგმა და მხარეთმცოდნემ, აღმოაჩინა ბუნების საოცრება — სათაფლიის მთაზე განლაგებული ისტორიამდელი ორი ძეგლი — დინოზავრთა ნაკვალევი და კარსტული გამოქვაბულები. და ეს მან, სათაფლიამ, საქვეყნოდ გამოაჩინა ბუნების დაუცხრომელი მკვლევარი.

მაგრამ სათაფლიით როდი იწყება და მთავრდება პეტრე ჭაბუკიანის მრავალმხრივი და განუზომელი მოღვაწეობა.

მისი პირველი აღმოჩენა — ეს ქუთაისის გარეუბანში, თეთრამიწაზე, ნეოლითის ადამიანის სადგომია.

თუ დინოზავრების ნაკვალევის აღმოჩენამ მთლიანად დაამსხვრია მანამდე გაბატონებული შეხედულება კავკასიის ახალ ხმელეთად აღიარებაზე, და, შესაბამისი შესწორება შეიტანა გეოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებაში, მეორე მხრივ, თეთრამიწის ნეოლითური კულტურის 5-ათასრიანმა კოლექციამ, რომელიც პეტრე ჭაბუკიანმა შეაგროვა, ახალი ფურცელი გადაშალა ქვის ხანის არქეოლოგიაში.

და მაინც მარტოოდენ ამით როდი განისაზღვრება ამ ოთხმოცი წლის კაცის შემოქმედებითი ანგარიში. მის ანგარიშზეა, მაგალითად, ქვის ხანის ადამიანთა კიდევ ორი უძველესი სადგომი წყალტუბოს რაიონის სოფლებში — მელოურსა და ხომულში, დინოზავრთა კიდევ ერთი ახალი, ორ სართულად განლაგებული ნაკვალევი ქუთაისში, რიონის კალაპოტში, და ისევ სათაფლიის მიდამოებში — ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი, რომლის დაზვერვაც უკვე მოეწყო და რომელიც ახლა არქეოლოგიურ გათხრას მოელის.

ამ ბოლო წლებში პეტრე ჭაბუკიანმა კოლხეთის ვაკეც შემოიარა, მასზე 60 ყორღანი აღმოაჩინა და ამით კიდევ ერთი დიდი საკვლევი არქეოლოგიური ობიექტი შეუქმნა მეცნიერებას.

პ. ჭაბუკიანი არა მარტო ამ ძეგლთა პირველაღმომჩენი და პირველაღმწერია, იგი ერის წარსულის სხვა ძეგლების მესაიდუმლე და ფხიზელი გუშაგიც არის. მისი ინიციატივით მოეწყო არქეოლოგიური გათხრები ბაგრატის ტაძრის, გელათის აკადემიის, გეგუთის დარბაზის ნანგრევებზე და მისივე ინიციატივით დაიწყო ამ დიდებული ძეგლების რესტავრაცია. მანვე განადგურებას გადაარჩინა და დაიცვა მრავალი საინტერესო არქივი.

და თუ ახლა ეს უპრეტენზიო, თავმდაბალი და გულნათელი კაცი მის მიერვე აღმოჩენილი მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლთა მეთვალყურედ და ექსკურსიამძღოლად მუშაობს, ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ გატაცებულია იგი ერის წარსულის შესწავლით, დაცვითა და მოვლით.

პეტრე ჭაბუკიანს დაბადების 80 წელი შეუსრულდა. აქედან სრული 50 წელი შეალია მან კულტურისა და ბუნების ძეგლთა აღმოჩენასა და დაცვას, თავისი უნიკალური ძეგლებით საკუთარი სიტყვა თქვა ქართული მეცნიერების სრულიად ახალი დარგების — პალეონტოლოგიის, სპელეოლოგიის, ქვის ხანის არქეოლოგიის განვითარებაში.

ამასწინათ საქართველოს კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, პეტრე ჭაბუკიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

თავისი ენერგიით, ნებისყოფითა და მოთმინებით, მეცნიერულ ცოდნასთან შერწყმული ძიების დაუოკებელი სურვილითა და უნარით, რაც ჩვენი ზღაპრული ბუნების ჯერ კიდევ გადაუშლელი წიგნის ამოკითხვას მოანდომა, პეტრე ჭაბუკიანმა საყოველთაო აღიარება, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დღეს კიევში

კიევი დიდი მატჩის მოლოდინშია. ეს არის მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეხვედრა ფეხბურთში თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრებთა შორის. ორივე გუნდი რამდენიმე დღეა კიევში იმყოფება, 13 ოქტომბერს მათ გამართეს უკანასკნელი წვრთნა, სტუმრები კმაყოფილი არიან ჩინებული მოედნით, გულთბილი მიღებით, სტუმართმოყვარეობით.

როგორც სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა განაცხადა, თურქეთის გუნდის წინააღმდეგ საბჭოთა ნაკრები გამოვა ბელგრადის ვარიანტით. როგორც ცნობილია, აქ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს იუგოსლავიის ნაკრები 3:1. ცვლილება მოსალოდნელია მხოლოდ თავდასხმის მარჯვენა ფლანგზე. აქ იქნება ან ა. პუზაჩი, ან მ. გერშკოვიჩი. ასეთ შემთხვევაში სამი ნახევარმცველიდან (ვ. ხერებრიანიკოვი, კ. ახათიანი, ვ. მუნტიანი) ერთ-ერთს მოუხდება სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ჯდომა.

საბჭოთა ფეხბურთელები ამ პასუხსაგებ მატჩს საბრძოლო განწყობილებით ხვდებიან. თამაშს სჯის არბიტრი ბ. ლიოვი.

ტრადიცია არ დარღვეულა

ტ. ზატულოვსკაია და ვ. კოზლოვსკაია გორის ტურნირში ისეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორც ტ. პეტროსიანი გახლდათ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე. მათ არ ეხებათ ის, რომ შეჯიბრებას შესარჩევი ხასიათი აქვს. როგორიც არ უნდა იყოს ზატულოვსკაიასა და კოზლოვსკაიას შედეგები გორში, ვაისად ისინი მაინც ითამაშებენ საზონათაშორისო ტურნირში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორივე მხოლოდ ჩემპიონობისათვის იბრძვის, თუმცა ჯერჯერობით კარგ შედეგებს ვერცერთი ვერ დაიკვეხნის.

მეოთხე ტურმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დაწინაურდნენ ახალი, ნიჭიერი მოჭადრაკეები. ლ. კრისტოლი (ლენინგრადი) მთელი წლის მანძილზე „დინის მშრალად ინახავდა“, რომ ყოველივე საუკეთესო თავისი საჭადრაკო „არსენალიდან“ სწორედ გორში ეჩვენებინა. მეოთხე ტურში ვ. კრისტოლმა სძლია ერთ-ერთ ფავორიტს — საერთაშორისო ოსტატ ო. ანდრეევას. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ანდრეევას სატურნირო ცხრილში მხოლოდ ნოლები „ამშვენებენ“, ეს მაშინ, როცა უკრაინის ჩემპიონი წინასაწარ პირველი სამეულის პრეტენდენტადაც კი ითვლებოდა.

ნ. ალექსანდრიას ადრეც არაერთხელ მოუგია ალმაატელ ოსტატ ა. მუსლიმოვასათვის. ტრადიცია არც ახლა დარღვეულა. ვ. კოზლოვსკაიას და ე. რუბცოვას მეტად შემმართებელ მოჭადრაკეთა რიცხვს მიაკუთვნებენ. არის ყაიმი, რომელსაც „გროსმაისტერულს“ უწოდებენ, მაგრამ კოზლოვსკაია-რუბცოვას პარტიის ახლანდელ შედეგს ასეთს ვერ ვუწოდებთ. ჯერჯერობით მარცხიანად თამაშობს თბილისის ჩემპიონი თ. ხუგაშვილი, მაგრამ როდესაც ზედმეტ მღელვარებას დასძლევს (იგი პირველად გამოდის საკავშირო ჩემპიონატის ფინალში), ვფიქრობთ, უკეთეს შედეგებს მიაღწევს.

გუშინ გორში გაიმართა მეხუთე ტური. ამ დღეს მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა—ალექსანდრიამ მოუგო სემიონოვას, რუბცოვამ — კაცკოვას. კრისტოლ-ზვორიკინასა და ბორისენკო-მუსლიმოვას პარტიებმა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ლიდერები არიან ალექსანდრია და რუბცოვა — 4,5-4,5 ქულა.

მედლების კოლექცია

ჰავანაში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება ფარიკაობაში. იგი აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების ტრიუმფით. მათ 5 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა გუნდს საზეიმოდ გადაეცა „ერთა დიდი პრიზი“.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს დავა ჰქონდათ ხმლით მოფარიკავეებს. ჩვენმა სპორტსმენებმა ზედიზედ მოიგეს შეხვედრები, ფინალში დაამარცხეს უნგრეთის გუნდი 8:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. უნგრელები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ, ბრინჯაოს პრიზიორები კი შვედი მოფარიკავეები გახდნენ.

რაპირისტ ქალთა შეხვედრებში ყველაფერი ერთმა ზედმეტმა ჩხვლეტამ გადაწყვიტა რუმინეთისა და საბჭოთა გუნდებს შორის. ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ რუმინელები.

საკავშირო ალპინიადა

ცაგერი, 14 ოქტომბერი (საქდესი). აქ მიმდინარეობს საკავშირო ალპინიადა, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები. გარდა სპორტული ასვლებისა, ალპინიადის მონაწილენი აწყობენ ლექციებსა და დისკუსიებს.

ალპინიადა ეწყობა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სპორტული საბჭოს ინიციატივით და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

„ოქროს თავთავი“ — „დრუჟბას“

ტერნოპოლის ოლქის ქალაქ ბუჩაჩში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სასოფლო ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ თასზე.

შეუპოვარი გამოდგა ფინალური ასპარეზობა. პრიზი — „ოქროს თავთავი“ მოიპოვა ბუჩაჩის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა „დრუჟბამ“. ამ გუნდს არც ერთი მატჩი არ წაუგია, მოწინააღმდეგის კარში 10 გოლი გაიტანა, საკუთარში კი მხოლოდ ერთი მიიღო.

წარმატებით იბრძოდა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — აწყურის საბჭოთა მეურნეობის გუნდი „საქართველო“, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ბელორუსიის პინსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი.

□

საპასკიმ დაამარცხა ლარსენი

სან-ხუანი, 14 ოქტომბერი. (საქდესი). საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს, რომელიც პუერტო-რიკოს დედაქალაქში მიმდინარეობს, ლიდერობს მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი, რომელმაც სამ შესაძლებელში სამი ქულა მოაგროვა.

მესამე ტურში საბჭოთა გროსმაისტერი თეთრებით თამაშობდა დანიელ ბენტ ლარსენთან. ეს ორი მოჭადრაკე არაერთხელ შეხვედრია ერთმანეთს პასუხსაგებ შეჯიბრებებში — სპასკის უპირატესობა აქვს ანგარიშში. ბუნებრივი იყო ლარსენის სურვილი აელორევანში, მაგრამ ამჯერადაც შავების მიერ არჩეულ კარო-კანის დაცვაში ინიციატივას სპასკი ფლობდა და გაიმარჯვა.

„კომუნისტი“ სპორტი

კვლავ „ჟალგირისი“

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„დინამო“ (ბათუმი) — „ენერგეტიკი“ (დუშანბე) 0:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) 1:0, „დინამო“ (კიროვაბადი) — „ზარაფშანი“ (ნავოი) 2:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „პამირი“ (ლენინაბადი) 2:0, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:1, „სპარტაკი“ (ბრესტი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 0:1, „ნემანი“ (გროდნო) — „ვოსტოკი“ (უსტ-კამენოგორსკი) 0:0.

ლიდერობას კვლავ ვილნიუსის „ჟალგირისი“ ინარჩუნებს, რომელსაც 38 თამაშიდან 49 ქულა აქვს. ყარაგანდის „შახტიორს“ ამდენივე თამაშიდან 48 ქულა აქვს, თბილისის „ლოკომოტივს“ 39 თამაშიდან — 48 ქულა.

ასპარეზობათა ესტაფეტა

● **არმიის** ცენტრალური სასპორტო კლუბის ჰოკეისტებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, მეორე ფინალურ მატჩში დაამარცხეს ავსტრიის „კასის“ გუნდი 14:3 და მოიპოვეს საპატიო პრიზი.

● **სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მეოთხეჯერ მიიღებს მონაწილეობას „ოლიმპიური იმედის“ ტურნირში. ეს ასპარეზობა გაიმართება კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სტადიონებზე. საბჭოთა გუნდი 17 ფეხბურთელით (მწვრთნელი ე. ლიადინი) 13 ოქტომბერს ფხენიანში გაემგზავრა. ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ შეყვანილია ლ. ბუძაშვილი.

● **იალტის** მახლობლად რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება კლდეზე ცოცვაში. თბილისის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ ი. გელდიაშვილი და ლ. გურჩიანი.

● **ცსკა-ს** ფეხბურთელები განაგრძობენ ტურნეს პოლონეთში. მორიგი მატჩი არმიელებს ჰქონდათ „ზაგლემბეს“ საკლუბო გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ბურთი მე-20 წუთზე გაიტანა კაპლიჩნიმა.

● **სტოკჰოლმში** გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა საშუალო წონის შტანგისტი ვ. ვეტენბერი. მან აჭიმა 170,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

● **გაიმართა** მსოფლიოს პირველობის მორიგი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

თბილისის სპორტის სასახლე

4-დან 21 დეკემბრამდე

უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლის

„ბალეტი ყინულზე“

გასტროლები

ახალი პროგრამა

„გაზაფხულის ზღაპარი“

რევიუ 2 განყოფილებად საესტრადო ორკესტრის თანხლებით

მხატვრული ხელმძღვანელი და დამდგმელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვახტანგ ვრონსკი.**

განაცხადები კოლექტიური დასწრებისათვის მიიღება 15 ოქტომბრიდან.

განაცხადები სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან დაკმაყოფილდება პირველ რიგში.

დასაწყისი 20 საათზე, კვირაობით 12 და 20 საათზე.

ცნობები ტელეფონებით: 36-20-54, 36-23-04, 36-01-55.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

16 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.40 — მსუბუქი მუსიკა, 12.10 — საუბარი „კომუნისტთა უტყუარი იარაღი“, 12.25 — რუსული საორკესტრო სიუიტა „ფა“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „ცხრათვალა მზის ქვეშ“. მოთხრობა „მორბის არაგვი არაგვიანი“, 18.00 — საინფორმაციო რადიობიულეტენი „ამიერკავკასიის რესპუბლიკები — ვ. ი. ლენინის იუბილეს შესახვედრად“, 18.10 — სვენდიაროვი. სიმფონიური პოემა „სამი პალმა“, 18.45 — გ. ცაბაძე. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად“. თემა: „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“ (საუბარი მეორე), 19.20 — მღერის ტიტო სკიპა, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ციკლიდან „თეატრი მიკროფონთან“. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მარინე“, 22.50 — საბალეტო მუსიკა, 23.30 — ქართველ ესტრადის ოსტატთა კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

15 ოქტომბერი

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.45 — „კოსტას დაბრუნება“ — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — მხატვრული ფილმი „ეს ასე იწყებოდა“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები. 18.30 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 19.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „პალიტრა“, 19.55 — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირი — თურქეთი (გადმოცემა კიევიდან). 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — კონცერტი, 22.40 — ლიტერატურული გადაცემა „მზე შინა და მზე გარეთა“ (გამეორება).

თეატრები

15 ოქტომბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბოჰემა (მე-4 აბონ. მე-3 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სანამ ურემი გადაბრუნდება; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გულადი ჯარისკაცი შვეიკი; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მღერის ჟაკლინ ფულაკი (საფრანგეთი), **ფილარმონიის საზაფხულო** — ლიტერატურული საღამო, **თოჯინების ქართული** — მელაკუდა (დასაწყისი 11, 1, 3 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დღეს ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 51 აბონ. დღის 3 ს., № 49 აბონ. საღ. 5 ს. და 30 წ.),



„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)

16 ოქტომბერი

ფეხბურთი

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა

„ვისმუტი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — „დინამო“ (თბილისი).

დასაწყისი 18 ს. და 30 წ.

ბილეთების წინასწარ გაყიდვა აბონემენტებზე 15 ოქტომბერს 12-დან 19 საათამდე საერთო გაყიდვა 16 ოქტომბერს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ მდივნის — 99 72 80, ხამდივნოსი — 99 66 10. განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 81, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18 70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55 01, ინფორმაციის — 93 16 90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93 93 96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 03472

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.